8 (20) ნოემბერი 1868. № 45. მესამე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი

გაგზავნით ტფილისში და გარე ადგილებში: — გაუგზავნელათ:
ერთის წლისა — 7 მან. — — — — 6 მან,
ნახევარის წლისა — 4 — — — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროება

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში. ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

## განცხადება.

დიდი გაჭირება ადგას ხოლმე ყოველ წელს „დროების“ რედაქციას იმის გამო, რომ ხელის მომწერნი იბარებენ გაზეთსა და ფული კი თავის დროზე არ შემოაქვთ. ბევრნი არიან იმისთანა ხელის მომწერნი, რომელნიც იბარებენ და ფულს არ იძლევიან.

ამისთვის მომავალის წლიდგან ვინც წინათვე არ გამოგზავნის ფულს, გაზეთი არ გაეგზავნება. და რომელთაც აქამომდე არ შემოუტანიათ გაზეთის „დროების“ ფული, თუ მომავალ წლამდის არ შემოიტანეს, იმათ სახელსა და გვარს გამოვაცხადებთ გაზეთში სამჯერ.

ვისაც „დროების“ დაბარება ჰსურს, უმორჩილესად ვსთხოვთ, ამ თავითვე წარმოადგინოს წლის ფული.

---

### შინაარსი:

— სომხის ეპისკოპოსების კურთხევა. — ტფილისის ალებ-მიცემობის ამბავი. — ტელეგრამმები. — ნაწყვეტი სურათი მოთხრობიდგან „ვერიტია“. — ტფილისის მომხმარებელის საზოგადოება. — საოხუნჯ ფურცელი: — ნობათი. — ლექსი: — კარგი ზნის კაცი. — საბიბლიოგრაფო ცნობები.

### განცხადება

თფილისის ღუბერნიის კეთილშობილთ წინამძღომლის თანამდებობის აღმასრულებელისა.

ნებართვითა მისის იმპერატორებითის უმაღლესობისა კავკასის ნამესტნიკისათა ქ. სიღნახსაშინა უნდა მოხდეს 25 მომავალსა ნოემბერსა კეთილ შობილთ აღრჩევა სიღნაღის უეზდის კეთილშობილთ წინამძღომლის თანამდებობასა ზედა.

ამისთვის განუცხადებ რა სიღნაღის უეზდის კეთილ შობილთა, უმორჩილესად ვთხოვ ყოველთა გაქმნდეთ მხედველობასა შინა შემდგომნი მუხლნი ჰსჯულთა მესამე ტომისა. აღრჩევის სამსახურსა ზედა: 34, 35, 36, 37, 52, 54, 74, 75, 77, 78, 80, 81, 82, 83, 84, 85, 94, 95, 96, 101, 102, 103, 105, და 138. და XV ტომისა ჰსჯულთა სისხლის სამართლისათა: 1959, 1961, 1966 და 867.—

---

სომხის გაზეთში „მეღუ ჰაიასტანი“ გვაცნობებენ ეჩმიაწინიდგან, რომ მისმა ყოვლად უგანათლებულესობამ სრულიად სომხის ხალხის კათალიკოსმა აკურთხა ეპისკოპოსათ ყოვლად ღირსი სომხის ბერი მიკირტიჩ ხრიმიანი, რომელსაც ეძახიან არცვის (არწივს); აგრეთვე ხელი დასხა ეპისკოპოსობაზე ხარბერთის ეპარქიის უფროსს. იერემიას ვართაპეტს. აქაურს სომხებს ძალიან უხარიათ ეს ამბავი.

---

**ტფილისი**, 4 ნოემბერს. დიდ ბაზრებში, საცა ბევრი ბამბა გადის, თურმე კარგი ფასი აქვს ბამბას ამ ჟამად და ამიტომაც ტფილისში ბამბით ვაჭრობა გაცოცხლდა. მოსკოვისათვის, კონსტანტინოპოლისთვის და მარსელისთვის ბევრს ყიდულობენ.

ერევნის გუბერნიიდგან ბამბა ბევრი შემოდის; ახლავე აწყვია ტფილისში 4 ათასი ბარდანი ძველი წლისა და ახალი მოსავლისაც შემოდის. თუ ფასმა არ დაიკლო საზღვარ გარეთ, იმედია, რომ ბევრს ბამბას გაიტანენ ამ ზამთრით; ახლა ერთ ფუთ ერევნის ბამბაში ექვს მანეთს და ერთ აბაზს აძლევენ.

მატყლი ორი ათასი ბარდანი კიდევ დარჩენილა. ფუთი თუშური მატყლისა ოთხმანეთად და ერთ აბაზათ არის—ორაბაზამდინაც ადის; თათრული მატყლისა კი ორმანეთად და ორაბაზათ ან ოთხ აბაზათ არის.

დრო გამოშვებით შემოდის ხოლმე აბრეშუმი პარკებათ ნუხიდგან და შუშიდგან. ფუთი იყიდება ხუთ და ექვს თუმნათ, დახვრეტილები კი სამათ და ოთხ თუმნათ.

ფუთი აბრეშუმი ნუხში გასულა ოცდა ორ თუმნათ და ოცდა ოთხ თუმნათ, კახური აბრეშუმი ცამეტათ და თოთხმეტ თუმნათ გასულა.

ცოტა ბულაურიც გაყიდულა; ფუთი ოთხ თუმნამდე ასულა. შაქარი რუსის ფაბრიკებზედ და საზღვარ გარეთაც გაძვირებულა. ამისთვის რუსული შაქრის ფუთი ცხრა მანეთათ და ექვს შაურათ არის, ფრანცუზული კი ცხრა მანეთად და ერთ აბაზათ.

### ტელეგრამმები.

(პეტერბურღში მიღებული)

**ლისსაბონი**, 18 (30) ოკტომბერს. როდესაც მთელი ხალხი სრულიად გაათავებს ხმის მიცემას ისპანიაში, მაშინ გერცოგი და გერცოგინა მონპანსიე მობრუნდებიან ამ სახელმწიფოში.

**პეშტი**, 18 (30) ოკტომბერს. დეაკის გაზეთში Pesti Naplo რუმინიის მთავრობას ჰკიცხავენ, რომ ის რუსეთისკენ ისწევსო და ამასთანავე ურჩევენ, რომ იმან ვენგრიასთან დაიჭიროს კავშირი.

**ლონდონი**, 19 (31), ოკტომბერს. გუშინ პრუსსიის ტახტის მემკვიდრის ცოლმა ნახა ვალისის პრინცესსა ლონდონს.

**პარიჟი**, 19 (31) ოკტომბერს. გაზეთი Epoque ამტკიცებს, რომ ფრანციამ ურჩია დანიას, რომ მშვიდობიანური განწყობილება ჰქონდეს პრუსიასთანა; კოპენგაგენის მთავრობამაც დიდი ყურადღებით მოისმინაო ეს რჩევა.

**ვენა**, 21 ოკტომბერს (2 ნოემბერს). ერთს გერმანიის გაზეთში აცხადებენ, რომ ანგლიის მთავრობამ თავის თანამოაზრეები...

---

# ნობათი

№ 1

### პირველ სიტყვაობა ნობათის შესახებ.

საყვარელნო მკითხველნო, ის სიმღერა მოგეხსენებათ, რომ ამბობს „ეს სოფელი სთველიაო“. ჩვენ ვიტყვით, რომ ეს სოფელი, ესე იგი ჩვენი ცხოვრება ბაღია. აბა ჩვენი ცხოვრება ბაღს შეადარეთ. აქ რას არა ხედავთ; მიწაზე გაშლილს ნესვ-საზამთროს თითქოს იმალებოდესო, პატარა ტანოვან ვაზსა, მაღლა ცამდისინ აწვდენილ ჭანდარსა, უნაყოფოსა, მაგრამ ამპარტავნულათ ამართულსა, თითქოს ამბობდეს მე ვარ ამ ბაღის მეფე, პატრონი და სიცხე-ქარისაგან მფარველიო. ბაღში ხედავ უხეიროდ ბალახ-ბულახსა, ნაყოფიან ხეთა და მოსავალთა წამხდენსა; აქა ხედავთ მყრალსა და უფერულ ყვავილსა; სხვა მცენარის სინოყიერის მწოველს ფათალოსა, გზის შემკვრელ ეკალსა და მრავალსა სხვასა და სხვასა და სხვასა. ამ ბაღებიდგან მოგვერთმევა ხოლმე ნობათი ესე იგი, ძღვენი კარგისა და კარგის ხილებისა. ჩვენც ჩვენი ცხოვრებისაგან ხანდახან ნობათი რომ მივართვათ მკითხველებს, არა მგონია ცუდი იქნებოდეს. ამ ნობათში, მერწმუნეთ, ბევრი საყუათო რამ გახლდებათ, ბევრი ტკბილი საჭმელი. ამისთვის იმედს იქონიებს „ნობათის“ რედაქცია, რომ მკითხველნი კმაყოფილნი დაშთებიან. ნუმც გაახსენდებათ ამ სიტყვის „ნობათის“ მეორე მნიშვნელობა. მეორე მნიშვნელობა შიშიანობის გაფრთხილების დაფის დაკვრასა გვაგონებს, ვითარცა მოხსენებულ არს ვეფხვისტყაოსანსა შინა:

მცველნი მუნ ზედა დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან.

(იხილე მუხლი 1294, წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა წინაშე მიწერილი). მოწყალენო ხელმწიფენო, ჩვენ მცველათ არავის არ დაუნიშნავართ; სხვის ცხოვრების თვალყურის დევნისათვის ვინ მოგვცა უფლება; უფლება ამ გვარი მარტოკა პოლიციასა აქვს მინდობილი. ჩვენ უნდა გულდამშვიდებით ვიყოთ, ყველაფერს უყუროთ თვალითა სიმშვიდისათა, ვისმინოთ ყურითა ნებიერითა, მივილოთ გულითა ტკბილითა, ვიუბნოთ ენითა უბიწოითა, და განვსაჯოთ გონებითა მარტივითა, რათამცა მივეწიენეთ სანატრელსა სარეცელსა. ესე არს ცხოვრება ბედნიერი! ან რა გვაქვს შემაშფოთებელი, რომ მცველათ ვიყოთ. ოსმიანობა არსად არ არის, თათარი და ლეკი კარს არ მოგვდგომია. ჩვენ მხოლოთა გვმართებს.

ვენახთა შინა, განცავისვენოთ,
ზურნა ნაღარით ჩვენ მოვილხინოთ;
ნაცარ დაკრულის ყურძნისა წვენით
დრო გავატაროთ საწუთრო ჩვენი!

ასე სჯობია. მაგრამ „ნობათიც“ კი უნდა; ამისთვის ნობათის რედაქციამ იზრუნა. ვგონებ ლაზათით იმას არ დაიწუნებთ.

ეს ფურცელი „დროების“ ყოველ ნომერთან არ გამოვა, ხოლო ხანდისხან, როდესაც რედაქცია მოახერხებს. ამაზე მკითხველები არა ვგონებთ მოემდურნენ „ნობათის“ რედაქციასა, რადგანაც მუქთათ მიუვათ, ესე იგი რადგანაც არა ვითარის რედაქციისებრის პირობით არა ყოფილა შეკრული. ამასთან უნდა მოვიხსენოთ, რომ სტატიები წვრილ-წვრილი იქნება და ისეთი გრძელი კი არა, როგორც „დროებაშია“.

### განათლებისათვის ჩვენში რა-არის საჭირო?

ამბობენ განათლებისათვის საჭიროაო სწავლის გავრცელება, გონივრული, ზომიერი ცხოვრება, შრომა და ბეჯითობა კაცისა თავის თავის გაუმჯობესობაშიო და კიდევ ბევრს რაღაებსაც ამბობენ, ვინ მოსთვლის. მაგრამ ვინ ამბობს? რაღა კითხვა უნდა, რევვენი იტყვის. განათლების ნამდვილი სახელი ჩვენში იციან და ღონისძიებაც იციან, თუ კაცმა განათლებულის სახელი როგორ დაირქვას, ჩვენებურათ როგორ ესმით განათლება იმ გვარ აზრებისათვის ყურადღება მივაქციეთ და მკითხველებს უნდა შევეწიოთ, რომ თავიანთ წადილს მალე მოესწრნან, განათლებულ კაცათ მალე შეიქნან. ღონის ძიება განათლებისათვის ეჭირებათ კაცთა და ქალთა, თფილისში მცხოვრებთა და ქალაქს გარეთ მყოფთა. ნათლათ გამოხატვისათვის ნომერაციით ჩამოვთვლით ყველა საჭიროებასა.

I. სახლი ტფილისში კაცს უნდა იმ ფასიანი,-რაც ჯამაგირს ან შემოსავალს იღებს იმისთანა ქუჩაში, საცა ბევრი ფარნები ანთია, ესე იგი განათლებულ ქუჩაში. კედლები ქირმანიშლით უნდა იყოს გაკრული, ფანჯრებს ქაშმირის შალი ჩამოფარებული, სამი მეკარე. მებილი სპილოს ძვლისა. იატაკზე ხალიჩათ მწვანე ან წითელი ხავერდი. ქალაქ გარეთა მცხოვრებლებს ურჩევთ ქალაქში გააკეთებინონ სახლები და სოფლებში გადაატანინო, უფრო იაფათ დაუჯდებათ. მაგრამ რადგანაც გადატანის ღონისძიება არ ვიცით ეს მივვინდვია თვითონ მსურველებზე.

2. ტანისამოსი ქალაქში ძალიან საჩენი ვერ არისო, ამისათვის სჯობს წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ევროპაში გამგზავრდნენ და მსურველთა განათლებისა ტანისამოსის თადარიგი დაიჭირონ; ვისაც გაუჭირდა სამძღვარ გარეთ გასვლა, შეიძლება აქაურ ფრანცუზებს დააბარებინოს და თუ ესეც გაძნელდა, მეტი ღონე არ არის, აქაურს უნდა მიმართონ მკერვლებს . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . ფერი ევროპიულის ტანთსაცმლისა ა-ლა-ბისმარკი და ბრუკი ისეთი ვიწრო უნდა, რომ კაცს მუხლები წვროს კანჭებს მიუგვანდეს. შეხამება მკერვლებთან უნდა მოიკითხოს; სხვა წვროს კანჭიანებთანაც რჩევაა საჭირო. მაგრამ უკაცრავათა ვარ ქალებთან. სამართალი მოითხოვდა ჯერ იმათ ტანისამოსზედ გველაპარაკნა. ეხლა ხშირათა ვხედავთ გრძელს კუდიანსაც და მოკლე კაბებსაც (რომლის ქვეშიდამაც იხედებიან ბლოტის მშვენიერი საპოჟკები), რომელი უფრო მიღებულია და რომელი სჯობს, არ ვიცით, რა ვთქვათ. ამისთანა ღრმა სამეცნიერო საქმის გადაჭრა არამც თუ ჩვენ ვერ შეგვიძლია, ამ ზაფხულს მრთელს პარიჟსაც

რე სახელმწიფოების თანხმობით პორტა იძულებულ იყო, რომ რუმინიის მთავრობას წინ დაუხატოს არა სახუმბრო მდგომარეობა ახლანდელი საქმისა, რადგან თვით ევროპაში საშიშო საქმეებიაო ატეხილი.

**ლონდონი**, 22 ოკტომბერს (3 ნოემბერს). ანგლიის პარლამენტი შეკრბება 27 ნოემბერს. ახლავე ფიქრობენ ლიბერალებს 120 ხმით მეტი ეყოლებათო თავის მომხრენი.

— პრინცი ნაპოლეონი ტარკვეის მივიდა.

**მადრიდი**, 21 ოკტომბერს (2 ნოემბერს). ხვალ მთავრობის გაზეთში გამოაცხადებენ დეკრეტს კორტესების შემოკრებაზე.

— რუსეთს ჯერ კიდევ არ უცვნია ისპანიის დროებითი მმართებლობა.—ისპანიის ახალ სესხზე ძმების ბერინგის ბანკირის სახლმა შვიდას მილიონ რეალზე ხელი მოაწერა.

— ოლოცაგასთან მთავრობის პირველი პირნი იყვნენ შეკრებულნი და იქ გადასწყვიტეს თორმეტი წევრისაგან კამიტეტის შედგენა. იმათში ოთხი დემოკრატი უნდა იყოს, ოთხი უნიონისტი (პორტუგალიის და ისპანიის შეერთების მოსურნე) და ოთხი რესპუბლიკელი. ამ კამიტეტმა უნდა შეადგინოს მანიფესტი საკონსტიტუციო მონარხიის დასამკვიდრებლათ ისპანიაში საზოგადო ხმის მიცემით და სრულის თავისუფალის დაწესებებით.

**ვაშინგტონი**, 22 ოკტომბერს (3 ნოემბერს). გრანტი დიდის ხმის სიმრავლით ამოირჩიეს პრეზიდენტათ. პრეზიდენტის ამორჩევაზე რესპუბლიკელებმა ყველგან დასძლიეს ჩრდილოეთის შტატებში.

(ტფილისში მიღებული.)

**პეტერბურგი**, 31 ოკტომბერს. გამოიცა მანიფესტი, რომელიცა ბრძანებს, რომ იმპერიის ორთავე გვერდზე გაიყვანონ სალდათი ათას კაცზე ოთხი კაცი ზღვისა და ხმელეთის ჯარის შესავსებლათ. გამოყვანა უნდა დაიწყონ 15 იანვრიდგან და 15 თებერვალს უნდა გათავდეს.

---

ნაწყვეტი სურათი მოთხრობიდგან

„ზვრიტია“

VI... VII... VIII... IX... X...

სუსხიანი დილა გათენდა. ბარეთ თებერვლის ქარი ღმუოდა და დრო გამოშვებით მძლავრათ შეარყევდა ხოლმე ბაკურიძის ოდასა (სახლს). ქედლები ამისგამო ისე საწყლად კვნესოდენ, რომ გეგონებოდა, საცა არის, ქარი ფეხს აუდგამს ამ ოდას და ქათმის საბუდარსავით პირქვე დაამხობსო. ოდის ჯუჯრუტანები ალაგ-ალაგ დარჩენოდათ ქაღალდ გაუკვრელი და ამ ფარღალალეში ქარი მუდამ სალამურს უკრავდა. ბუხრებში ცეცხლს გუგუნ-გუგუნი გაჰქონდა. ანასტასია ტახტზე იჯდა, კალთაში პატარა დაუჯდომელი გაეშალა და ტუჩებს აცმაცუნებდა, როგორც ეტყობოდა, ლოცულობდა. პირდაპირ ერთს კუთხეში ხატების წინ წმინდა სანთელი ბჟუტავდა, რომლისკენაც დრო გამოშვებით ალმართავდა ხოლმე ანასტასია თავის შავ თვალებს და ისეთ ნაირათ დაჰნაბავდა, რომ გეგონებოდა, სწორეთ სასოებით გული წაუვიდაო. ეს იყო ნიშნად მხურვალე ვედრებისა. შემდეგ უეცრად შეჩერდებოდა, თითქოს ლოცვა გასწყვიტაო და რამდენსამე ხანს თვალებს მიაპყრობდა გაცხოველებულს ბუხარსა. მერე უეცრად წამოიძახებდა, ღმერთო ნუ გამირისხდები მე ცოდვილს, მე გარეწარს! ფუჰჰ.... დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი!..—ისევ მსწრაფლად ჩაჰხედავდა თავის დაუჯდომელში, და ხელახლა მოჰყვებოდა ბუტბუტსა და პირჯვრის წერასა. მეორე ოთახში ბუხრის წინ ხალიჩაზე მუხლები მოეკეცნა ზვრიტიას. დაგლეჯილი ხის ყდიანი დავითნი გადაეშალა და ჰკითხულობდა ისე ნელა და ხმა მაღლა, რომ შორიდგან გეგონებოდა, სწორეთ ჩონგურზე ამღერებსო. ზვრიტიას შეჭმუხვნილი წარბები და ცრემლიანი თვალები ნათლად ხატავდნენ, რომ წიგნის კითხვა იმას არას ფრათ ეხალისებოდა და მეორე ოთახში მჯდომარე დედისა არა ჰშინებოდა, ვგონებ ფერფლად აქცევდა უმისოთაც დაფლეთილს დავითნსა. ჩუმათ კი ხევას არ აკლებდა. როგორც რომ ცოტა შეჩერდებოდა, ვითომც შევისვენეო, მაშინვე ფურცლის ყურზე მოჰხევდა დავითნსა და ჩაიდებდა პირში, თითქოს თავის გაწვალებისთვის ჯავრს იმ დავითნის ნაგლეჯს აცხრობდა: ჰი, ჰი, ჰი,—ეგრე მოგიხდება! კბილით უნდა დაგფრიწო დაგგლიჯო, ჩემო სიცოცხლის დამმწარებელოვო“. ამ სახით სანამდის ერთს გვერდს გაიბეჯითებდა, ფურცლის ნახევარი დავითნში აღარ იყო და გამქრალ ნახევარ გვერდზე რაც ფსალმუნი ეწერა, უბრალო ქაღალდზე მეორეთ უნდა დაეწერა ანასტასიას და დავითნში ჩაეკრა. ის ბევრჯელ დაუსისხლიანებდა ხოლმე ხელებსა: შე, მიწა დასაყრელო, რატომ ხევ, რატომ არ უფთხილდები მაგ დავითნს, რომ სულ ნაფლეთების მეტი არა არისრაო. ნუ იცი ხევა, თვარამ ბიტო ნუ მომიკვდება, მოგჭრი მაგ ხელებსო! ეტყოდა გაჯავრებით დედა და თან ხელებზე სცემდა ხოლმე. ზვრიტია გაჯიუტდებოდა ხოლმე: რაც უნდა სტკენოდა, არ იტირებდა და არც ხმას ამოიღებდა; გულში კი ამბობდა: „ჰი, ჰი, ხომ ვერ მატირეო!“ მართლაც დედას უფრო ჯავრი მოსდიოდა ხოლმე იმისთვის რომ ზვრიტია უტირლად უძლებდა იმის ცემასა და ბოლოს ამ სახით გამარჯვებულს თავის ქალს გააგდებდა მეორე ოთახში. ერთხელ კითხვის დროს, რაღაც ენა ველარ გაიგნო ზვრიტიამ და სიტყვებსაც ბეჯითად ველარ ამბობდა. ანასტასია მაშინვე მიხვდა, ალბათ ზვრიტიას პირში რაღაცა უდევსო; მოიხმო და პირი დაალებინა. მართლაც, მსხვილი ბურთი დავითნის ნაგლეჯებისა პირიდამ გამოუვარდა ზვრიტიასა. დედამ შეჰყვირა: „გამოყავი ენა, შე ეშმაკის მოდგმისაო“. და როცა იმან ენა გამოჰყო, ანასტასია ეცა ენის წვერში ორივე ხელებით და ეუბნებოდა: „მე შენ ენა უნდა ამოგგლიჯოვო, უნდა ამოგგლიჯოვო. ზვრიტიას მართლა ეგონა, ვაი, თუ უენო დამაგდოსო, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ისე იყვირა. ბევრი ამისთანა საშუალება იხმარა ანასტასიამ, მაგრამ დავითნის ხევა მაინც ვერ გადააჩვია თავის ქალსა! იმ დილით ზვრიტია ძალიან დაზარებით ეწევოდა დავითნის კითხვასა. ანასტასია თუმტა ლოცულობდა, მაგრამ ცალი ყური თავის ქალისკენ ეჭირა. ზვრიტიას ერთიც არ შესცდენია ისე, რომ მეორე ოთახიდგან მუქარით და წყრომით არ გაესწორებინა ანასტასიასა. ოტახანს შემდეგ ოთახში შემოვარდა სიცივით აკანკალებული მარინე და თავის ტალახიანი ფეხები მაშინვე ცეცხლში ჩააწყო, ხელებსაც ალზე ითბობდა; როცა სული მოიბრუნა, ცხვირი მოიხოცა, ხელი ხალიჩაზე წაუსვ-წამოუსვა და თავის ბატონის შვილს გვერდით დაუჯდა. ზვრიტიამ დავითნის კითხვას თავი დაანება და დაბალის ხმით ჰკითხა მარინეს.

— სად იყავი?

— სამზარეულოში.

— რას აკეთებდი იქანა?

— რას ვაკეთებდი და ფეხებს... დილვარდისას ამბავი არ იცი, რომ ტყულა არ დამაყენებს!... ჯერ სამუახლო დამახვეტინა და მერე წყალზე გამგდო უშველებელი ჩაფით; ისთე შემცივდა, რომ სუნთლათ გვეიყენე.

— მარინე, რომ იცოდე, რავა მშია!...—წუწუნით შეჩივლა ზვრიტიამ. წუხელი ვახშამი კი არ მიჭამია... მარინე, თუ გიყვარდე, წადი დილვარდისას უთხარი, საჭმელი გამომიგზავნოს.... თუ მომიტან, შენც ქე გაჭმევ.

— ეჰ, ახლა იქანა ვინ წავა ამისთანა სიცივეში.... ფეხები დამწვა ამდენმა სირბილმა... არ იცი იმის ამბავი თუ!... ისთე გააკაპასეს ბიჭებმა წახნეი, რომ ახლა მე რომ მივიდე, სწორენ გამლახავს... და არც არაფერს მომცემს...

— რავქნა, რაეუყო. მშია!... დაიწყო წუწუნი ზვრიტიამ და გადაშლილს დავითნში თავი ჩაჰდო.

— ზვრიტია, გვრიტია?—გამოისმა მეორე ოთახიდგან ანასტასიას ხმა.

— ოჰ, შე გოუმაძღარო, შენ!... ჯერ ქეც არ გათენებულა და იგი უნამუსო კი საჭმელს ითხოვს!... იკითხე, შე საძაგელო!.. სანამდის მაგას არ ჩეიკითხავ, საჭმელს ნუღარ ტყულათ ელი!... მარინე მარინე?—მიუბრუნდა გოგოს.—შენ ხარ მაგი, რომ ართობ მაგ ბოზშს?... რეიზა მოდი, ჰა?... მაქანე რაგინდა შე, წუპაკო?... მაქანა რა შენი ადგილია!... ახლათ-ახლავე წეეთერი სამუახლოში და იქანა იყავი. აქანა ამოსვლა არ გაბედო, თუ მე არ გიბრძანო, თვარამ ვაი შენ დღეს! წადი-თქვა, გეუბნები შეუნამუსოს შვილო!...

---

კი ვერ გადაუჭრია. ძალიან ბრძოლა ჰქონიათ ქუჩის დასაგველ კაბების მომხრეებსა და მოკლე კაბების მომხრეებსა. ბოლოს ძლივს ძლიობით იმითი გათავებულა, რომ ფრანციის დედოფალს კუდიანი კაბა ურჩევია. ვნახოთ, ჩვენი ქალები როგორ გაათავებენ. ქაბა უნდა იყოს ხავერდის ან სხვა ფარჩისა პირველი აბრეშუმეულისა, პოლსაპოშკები, ანუ ეხლა შემოღებული საპოშკები ბლოტისა უნდა. ფერჩატკები (თათმანები) იმისივე; ხომ მოგეხსენებათ ძველათაგანვე ნაქებია და გიორგი ერისთავმა დიდი ხანია თავის „გაყრაში“ თქვა:

ბლოტის ფერჩატკით ფრანტობენო.

შლიაპები და თავსახურავი სამკაული იქვე ბლოტთანვეა: მშვენიერი სათასაკრავე ლენტები და ნაკერი თასაკრავები, ლეჩაქები, ბლონდისა და ატლასისა და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით ამ მაღაზიაშივე ყველას იპოვნით, ესე იგი აქვე განათლება შეიძლება იმ მხრით, რაც ამ მეორე საგანს შეეხება.

მაგრამ არამც და არამც ხაზარდა არ მოიშოროთ, როგორც ზოგიერთი მაწუნწარაები ჩადიან. რაც უნდა გამძლე და მოსახდენი იყოს არამც და არამც ჩითი არ ჩაიცვათ. პირველი ის არის რომ ზემოდგან კარგი ეცვას კაცსა, პერანგსა და, ერთის სიტყვით, ქვეშსაცმელს არა უშავს რა, როგორიც უნდა იყოს: თუნდა ექვსი თვის გაურეცხელიც იყოს. მასუკან პირველი ეს არის, რომ თითო ზემოთა ტანსაცმელი სამჯერ მეტათ არ ჩაიცვას ქალმა, დასაძრახისია. მეტადრე როდესაც საბნის პირათ და გოგობიჭებს ახალუხათ გამოადგებათ.

3. სადილ-ვახშამი იმისთანა უნდა, რომ სახელი იყოს: ჭანარი, ახალი თევზი, ინდოური, ჟელე. ჩვენ ვურჩევთ სადილი და ვახშამი გოსტინნიცებიდგან (სასტუმროებიდგან) შეიკვეთონ, ძვირი არ არის, და მერე სახელია. შინ არამც და არამც ქილა-ქულები არ გააჩინოთ, ყველისა ვარო, წნილისაო, ქარქვეტისაო, და ერთის სიტყვით ზამთრის თადარიგს რომ იტყვიან, ამაებს ერიდენით.

4. სიარული უფრო ფაეტონით უნდა ვიდრე დროშკითა და ქვეითა. როდესაც ქუჩაში ხარ, იმისთანასთან იარე, ვისაც ან შენსავით აცვია, ან შენზე უკეთესათა. თუ შენზე უარესათ შემოსილია, შენ ისე უნდა გაიარო, რომ თავი აარიდო. ამისათვის იარე გამართულათ, სწორეთ, ნურავის და ნურაფერს ნუ დააცქერდები და რომ არაფერმა არ გაგიტყუოს თვალები შენი ცხვირის წვერს დააჩერე. სახე უნდა გეჭიროს ყოველთვის შუბლ შეჭმუხვნილი და დაფიქრებული, ვითარცა ფილოსოფოსთ ჰმართებსთ. ხელში არას დროს არა გეჭიროს რა, თორემ მუშას დაგიძახებენ. ევროპიელებმა და მეტადრე ამერიკელებმა იციანო ხოლმე მუშის ბარგის ოდენს წამოიკიდებენო, არა თაკილობენო, მაგრამ იმათ განათლებაზე ცრუ ჰაზრი აქვთ. ნამდვილი განათლებისა არა ესმით რა.

5. ლაპარაკი იცოდე მძიმე, ღრმა, დაფიქრებული და ისე, რომ შენთან მოლაპარაკეს შეატყობინო იმისი სისულელე და რეგვენობა, მეტადრე როდესაც შენსავით არ აცვია, ან შენისთანა სახლი არ უჭირავს. სჯობს შენზე ნაკლებათ ჩაცმულს სრულებით არ ელაპარაკო, ჭირსავით ერიდე; ჩვენ ხომ შვეიცარელები არა ვართ; იქა სცოდნიათ რომ პირველი სახელმწიფო კაცები გამართავენ ლაპარაკსა და ცხარე ბაასსა უბრალო მუშა და ხელოსან კაცთანა, საცა უნდა მოხდეს. წარმოიდგინეთ რა საზიზღარი სანახავი უნდა იყოს მაუდის კაბით მორთული კაცი, დაგლეჯილ კაცთან ცხარეთ მოლაპარაკე, რომელნიც ერთად სკამებზე დაბძანებულან მოყვრებსავითა. ფუ!.. ყოველთვის ძალიან ცოტა ილაპარაკე, ამით უფრო დაამტკიცებენ შენ განათლებასა. მართალი არას დროს არა თქვა, როგორც ტეტია ქართლელებმა და კახელებმა იციან. არას დროს პირში სწორე სიტყვა არ უთხრა კაცსა, არამედ თავაზიანად, მორიდებით და ზდილობით უალერსე ხოლმე, როგორც იმერლებმა იციან: პირში აქე და პირს უკანით ორმო მოუთხარე. მერწმუნე, თუ პირში მართალი უთხარი ვისმე, გადაგემტერებიან და შენსავით შემოსილები თან აღარ გაგატარებენ.

6. დროების გატარება ხშირათ თეატრში უნდა; მერე კიდევ ვაგზალებში, უფრო სანსუსში და მონპლეზირში, ხანდისხან სასტუმროებში (გოსტინიცებში). დროების გატარება უნდა დასრულდეს შამფანცკებით, მებელის მსხვრევით და ვისიმე ცხვირპირის დამტვრევით. კაცებმა დილაობით ვიზიტათ უნდა იარონ. ქალები თუ შინ არიან, ფანჯარაში უნდა ჩასხდნენ. ან საღამომდინ ფორტუპიანო აწკარუნონ. არა საქმეს ხელი არ მოჰკიდონ: კერვაა, თუ ოჯახის რიგის მიცემა, ამისთვის მსახურები არიან. თავი ისე უნდა ეჭიროს კაცსაც და დედაკაცსაცა, რომ როდესაც ხელცახოცი ხელიდგან გავარდეს, ისიცკი არ უნდა აიღოს, მსახურს დაუძახოს. შვილებს ქალებმა ყური არ უგდონ, თორემ საქმე წახდება, განათლებულ ქალებათ აღარ ჩაითვლებიან. საღამობით ლოტოში, ან იარალაში უნდა ჩასხდნენ და წააგონ თუმნები, რომელიც თავიანთის თანამემცხედრეს ჯიბიდგან უთვალავათა სცვივა. ამასთან, რასაკვირველია, შეუძლიათ ქალებს მეგობარი კაცის შოვნა, ხოლო ქმრებსაც თავის მეგობარ ქალებისა.

ამ ჟამათ, მგონია, კმაროდეს ეს უპირველესი საფუძველი განათლებისა. ბედნიერია, ვინც ამას აასრულებს. სრული განათლებული კაცი ის იქნება.—

თუ ეს ზემოხსენებული საჭიროებანი საკმაო არ არის, ვთხოვთ, ყველასა გვაცნობონ ნაკლებულებანი და შეძლებისა მებრ ჩვენისა ვეცდებით დავაკმაყოფილოთ მათი სურვილი.

---

**რა დღეს მოვესწართ!**

რა დღეს მოვესწართ, ღმერთო!
გულს სიმშვიდე წამერთო,
ნაღვლითა და ვარამით
უძილობა დამერთო.
რაც ეხლა ამბავს ვხედავთ,
არ ჰსმენიათ ჩვენ დედათ;
სიზმრათ არ სიზმრებიათ,
თქმასაც ძნელათ გაბედავთ.
აქ მოხდა ქურდობაო,
იქ კაცის მკვლელობაო;
ავაზაკობა, ცარცვა...

შეხედე ახლა ამ გომბიოს, ჩემი რომ არ ესმის!....

მარინეს ტანში აზრიალებდა, როცა წარმოიდგინა, რომ ყინვაში კიდევ უნდა გაგცეულიყო ტიტველა ფეხებით სამეახლოში. მაგრამ რაუნდა ექნა, ძალა აღმართსა ხნავს. საწყალი აფხორვილი გავიდა ოთახიდგან.

— Დედა, მე ქე ჩევიკითხე, რაც უნდოდა— თითქოს სტირისო, იმისთანა ხმით წამოიკრინა ბვრიტიამ.

— Არა, არა.... ტყუილს ამბობ, ტყუილს!.. შე საძაგელო.... შემოდი, აქანა ჩემ გვერდით დაჯექი და ისთევე თავიდგან დეიწყე. . . Თქენ გაგიბოროტდათ სიცოცხლე, მე თქვენ ლოცვა დღეს გამიბოროტეთ.... Ღმერთო შეგცოდე, შენს მოწყალეებას მე რავა ვღირსვარ.... მე უბედურს ნახევარი დოუჯდომელი გულისხმით არ წამიკითხავს.

— Ბვრიტია შევიდა დედასთან, რომელსაც ლოცვა გაეთავებინა და ხელსაქნარს აკეთებდა. Ის დაჯდა Ანასტასიასთან და თითქმის ტირილით დაიწყო ისევ თავიდგან დავითნის კითგვა.

— „ნე... ტარუ... არს“, „ნეტარუარს“

— რავა, რავა?....

— ნეტარუარს....

— Უჰ, შე უტვინო, შე უბედური დღის გაჩენილო!...

— Და ამასთანავე ჩაჰკრა თავში ცერის მუხლი. Ასჯერ გითხარი: „ნეტარ არს, ნეტარ არს, „ნეტარ არს“—მოუხშირა Ანასტასიამ, ამით უნდოდათ, რომ ბეჯითად ჩაენერგა შვილისთვის თავში ეს სიტყვა. მაგრამ Ბვრიტია იმისმა დაქინებამ ისე გააჯავრა, რომ სრულებით აღარ ესმოდა, რას ამბობდა იმისი დედა. Ყურები გაიმეხა.

— ჰო, იკითხე, რას ჩაგირგავს ცხვირი მაგ დავითნში.

— Კუ... აცი, კუაცი.

— „Კუაცი“ კიარა, კვიცი კიდო!..—მართლაც და კვიცი ხარ... Თავიდგან დეიწყე ისთევე... ჰო, მოყევი გოგო, ასთე, ჰა—„ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა ულმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა....“ ჩასჩიჩინებდა დედა; Ბვრიტია კი ამ ჩაცივებამ უფრო გააბრაზა. Გულში, გაივლო: რომ მომკლა, მაინც თავიდგან აღარ დავიწყებო: იცოდა, რომ ვერ იტყოდა კარგათ და დედა ისევ დააწყებინებდა; ეს კი სიკვდილივით ეჯავრებოდა იმას, რადგან ცალკე საჭმლის დარდი აწუხებდა და ცალკე ამ დავითნის ქიტნამ თავი გაურეტა. Იმან კიდევ უფრო ჩარგა თავი დავითნში და გადასწყვიტა: თუ ეგრეა, აწ ხმასაც აღარ ამოვიღებო.

Ბევრი უყვირა დედამ: ხან დაუამა, ხან გაუჯავრდა, მაგრამ Ბვრიტიას ხმის ამოღებას არა ეშველა რა. Ბოლოს Ანასტასია მოთმინებიდგან გამოვიდა:—„მოგიკვტა სიცოცხლე, შენ მე მომკალიო“—ათრთოლებით შესძახა თავის ქალს და თმები დაუჭირა. Ბვრიტიამ იწივლა: უნდოდა რომ ტირილით შეეწყალებინა დედა: გამწეწავს და გამაგდებს, ეს კიდევაც მირჩევნიაო: ამ საზიზღარს დავითნს მაინც მოვრჩები და კარგიაო.—Ფიქრობდა Ბვრიტია და ამისგამო ტირილს მოუმატა.

Ამ დროს შინ შემოვიდა Ბაკურიძე თავიდგან ფეხებამდის შეიარაღებული. რუხვი შალის ჩოხა ზედ ეცვა, თავი კაბალახით ჰქონდა შეკრული და ხელში მათრახი ეჭირა. Ეტყობოდა, ეს არის, ცხენიდგან ახლა ჩამომხდარაო. Სიცივისაგან ცხვირი გაწითლებოდა. Იმის შემოსვლაზე Ანასტასიას პირზე წითელმა ფერმა გადაჰკრა. ხელსაქნარი აიღო და დაბალი ხმით დაუწყო ჯავრობა Ბვრიტიას: „Ღმერთი ნუ გაგიწყრეს, თუ შენ მაგას აქამდის დეისწავლიდი! სულ ცელქობს, ეშმაკობს, აგერ გასათხოვარი შეიქმნება და ჯერ წიგნი არ იცის...

Ბვრიტია სტიროდა.

Ბაკურიძემ დედასა და შვილს თვალი გადაავლო, დაჯდა ტახტზე და უთხრა Ანასტასიას:

— Მე რავარც ვატყობ, სწავლის მაგიერათ, მგონია, უფრო წაახდენ შენ მაგას.

— Წადი, წიგნი შეინახე. შე უხეიროვ, უნიროვ, უნიჭოვ, შენ!—შეუტია Ანასტასიამ თავის ქალს, რომელსაც ხმა ჩაეწყვიტა და ჩუმათ კრუსუნობდა.

Ქალი ადგა ნელა, თუმცა გულში უხაროდა, რომ დილის ტანჯვას ასე მშვიდობით გადარჩა. Წიგნი შეინახა და ისევ ოთახში შემოვიდა.

— Ბიტო, მოდი აქ... Დედამ გაგაჯავრა?— Დაუძახა Ბაკურიძემ.

— Კი,—კვნესით უთხრა და თითი პირში ჩაიყო.

Ბაკურიძემ მუხლზე დაისვა თავისი ქალი, ლოყაზე აკოცა და უთხრა: „Დედას უთხარი, რომ მეორეთ აღარ გაგლახოს!... საჭმელი ჯერ არ გიჭამია?

— Არა.—Კვნესით მიუგო და თავი ჩაჰკიდა, რომ უფრო შეეცოდებინა თავი მამისთვის.

— Ჭამაზე კი მარჯვეთ არის.... Უთენიათ უნდა, რომ მუცელი გეიმსოს.... ნეტაი, ისე სწავლა ეხალისებოდეს, რავარც საჭმელი... Არა გეტკინოს რა, სწავლაზე მაგას თავი არ ტკივოდეს.—Დაუმატა Ანასტასიამ.

— Არაფელია,—ისწავლის, ჩემი გოგო!.. Წადი უთხარი პატარა ბიჭს, რომ საჭმელი მოგიტანოს.

Ბვრიტიას პირმა გაუცინა და ერთ წუთას გავარდა მეორე ოთახში. . . . . . . . .

## XI.

Დამყუდრდა. სუსხიანი დილები მოიშალა. Გაზაფხულის მზემ ბუნება გაალვიძა. მინდვრები ამწვანდა. ხარაბუამ ფრთები შეისხა. Ტყეში გვრიტმა ღუღუნი დაიწყო. Ბულბულის გალობა, კოდალას რაკუნი და ამასთან წმინდა ჰაერი სიცოცხლეს უმატებდენ ქვეყანას.

Ყველასთვის გათენდა ტკბილი დილა გაზაფხულისა. მხოლოდ Ანასტასიას გამდელს არ ექეიფებოდა. Იმან ზამთრითვე დაიწყო უძლებობა და გაზაფხულის სუნმა როგორც მოჰბერა, ისე Თათია გამდელი წააქცია. რამდენათაც ამინდი კეთდებოდა, იმდენათ Თათიას სიცოცხლე უარ-და-უარ შეიქმნა. ხანგრძლივი იმისი ავათმყოფობა ყველას მოსწყინდა და ყველამ ხელი აიღო. Წინათ Ბვრიტია ხშირათ შედიოდა ხოლმე თავის გამდელთან და ხელ ცარიელიც არ გამოვიდოდა: ხან ვაშლს, ხან მსხალს გამოიტანდა ხოლმე; მაგრამ როდესაც გამდელი ავათმყოფობისაგან მეტად მოუძლურდა, იმას რაღა ევაშლებოდა, მაშინ Ბვრიტიამაც დაუძვირა სიარული. მოხუცებული ავათმყოფი ხშირად გაიხსენებდა ხოლმე Ბვრიტიას, მაგრამ ამას ყურშიდაც ველარავინ ჩააწვეთებდა გადიასთან შესვლასა. Ეს საწყალი ბებერი, თან-და-თან დაილია ავათმყოფობაში, სახე ისე დაეპრანჭა, რომ ბიტოს [illegible] ოთახის გვერდზედაც კი ეშინოდა გავლა, არამც თუ იმასთან შესულიყო. მხოლოდ Ანასტასია აბედნიერებდა ხოლმე იმ საწყალს თავისი ნახვით. გაჭირებული ავათმყოფი როგორც კი დაინახავდა თავის სიყრმიდგან გაზდილსა, მაშინვე ხელებს დაუკოცნიდა და კვნესით დაუწყებდა ლოცვას: „შვილო, Ღმერთმა დიდი დღე მოგცეს ქმარშვილით, Ღმერთმა გაგიბედნიეროს შენი Ბიტო!.. მევკვდები, აგია..... ნეტაი ერთი კიდო მაჩვენა ჩემი Ბიტო!.... შვილო ერთს გევედრები, ნუ დამივიწყებ სიკვდილის შემდეგ, ხანდახან საკურთხი გააკეთებინე ხოლმე.....

— Იჰ, ბეჩა გადია, რა დაგემართა!.. რა გიჭირს სასაკურთხო.,,, ნუ გეშინია, მალე მორჩები,—ანუგეშებდა Ანასტასია, მაგრამ გულში კი იმედი ჰქონდა დაკარგული.

— Არა, ჩემო სიცოცხლე, ჩემო შვილო,— ამოიოხრებდა არაქათ წართმეული მოხუცებული. Ღმერთმა თქვენ გაცოცხლოსთ, შვილო, დიდხანს.... ჩემთვის რამდენიც ეიცოცხლე, იგიც კმარა.... Ბევრი წვალება მერგო, შვილო, ჩემ სიცოცხლეში. მეყოფა, მეტი აღარ მინდა.—სასოწარკვეთილმა წაილაპარაკა და მიმქრალ თვალებზე ორი კურცხალი ცრემლი გადმოვარდა. Ბოლოს Ანასტასიასაც მოსწყინდა მომაკვდავ ბებრის კვნესა და იმანაც ხელი აიღო.....

Ამას იქით დიდხანს არ უცოცხლია Თათიას.. ერთ მშვენიერს მაისის დღეს Თათიას კუბოს წინ მიუძღოდა მუცელ განიერი მღვდელი საყდრისკენ. Არას ფრათ იწუხა Ბიტომ თავის გადიის სიკვდილი; არც რევაზს გაუტეხია თავი მწუხარებით. მხოლოდ ორიოდე ჯერ Ანასტასიამ აწირვინა იმის სულისათვის, ტაბლაც უკურთხა და ამას შემდეგ ყველამ დაივიწყა. მაგრამ ბიჭებს კი დიდხანს არ მისცემიათ მოსვენება. Ამ ბებრის სიკვდილს შემდეგ იმათ ძილი გაუტყდათ. ხან ერთს დაესიზმრებოდა, რომ აი მოკუტული Თათია მოდის და თავის გძელ კუდს თანვე მოაქნევსო; ის აჯდებოდა გულზე იმ ბიჭს, თითქოს გული უნდა ამოსჭამოსო. ხან მეორეს დაესიზმრებოდა, ვითომც Თათიას კისერში წნელის ღვლეჭი ჩაებას

ძალიან გახშირდაო.
Გულთ მაკლდება და ვწუხვარ.
Ვფიქრობ ვეძებ მიზეზსა,
Მაგრამ კი ვერ მიმხვდარვარ,
რისგან სწარმოებს ესა?

— Მაგას რა კითხვა უნდა,
რა თავის ხეთქა უნდა?
Ადვილათ მოგახსენებთ,
Დიდი შრომა არ უნდა.
Ბატონ-ყმობა მოშალეს,
როზგი ხალხს მოაცალეს;
Ჯერ ხანი არ გასულა,
Სუდები მოგვახარეს...
Სოფლებში გვყავს გლეხები
Ტეტია სუდიები!

— Კმარა, თქვენ მზეს, ხუმრობა,
Მაგდენი ოხუჯობა!
Ვინ გითხრა, სად გაიგე,
Კაცს განა ეგ ეთქმება?!

— Თქვენ მზეს ვფიცავ, არ ვხუმრობ,
Ქვეყანა ამას ამბობს. . . .
Კნიაზს Ლევანს, Არჩილსა,
Მის ძმას მაიორს Ვასილსა
Დიდი ხანია უთქვამთ...
Გსურთ, ჰკითხეთ Გივისშვილსა,
Თეატრში ხშირათ მცნობებს
Ბევრს ეტყვის ამ მოთხრობებს...

Სიღარიბე აწ გაჩნდა,
Ალებ-მიცემა წახდა,
Სიძვირისაგან ფული
Ჯიბეში გაგვიქარწყლდა.

Გულთ მაკლდება და ვწუხვარ,
Ვფიქრობ, ვეძებ მიზეზსა...
Მაგრამ კი ვერ მიმხვდარვარ,
რისგან სწარმოებს ესა?

— Მაგას რა კითხვა უნდა,
რა თავის ხეთქა უნდა?
Ადვილათ მოგახსენებთ,
Დიდი შრომა არ უნდა.
Თავები აიწყვიტეს,
Გული აიცუნცრუკეს
Გლეხებმა თვის საქმეზე!..
Სარჩო ვით არ დაძვირდეს?
Მერე აი ამ ვაჭრებმა,
Მუშებმა, ხელოსნებმა
Გვიწყეს თრევა სუდებში—
Ყველა მაწუწარებმა
Არამც თუ ჩვენ, კაცებსა...
Დედა მანდილოსნებსა!
Მოდი, აქ შენ ივალე,
Მიმართე ნისიებსა...
რა თქმა, უნდა ვაჭრობას
Მოუვა ქესატობა!
Და რა საკურველია,
Მოვიდეს ბანკრუტობა!

— Კმარა, თქვენ მზეს, ხუმრობა,
Მაგდენი ოხუჯობა!
Ვინ გითხრა, სად გაიგე,
Კაც განა ეგ ეთქმება?

— Თქვენ მზეს ვფიცავ, არ ვხუმრობ,
Ქვეყანა ამას ამბობს!
Კნიაზს Ლევანს, Არჩილსა,
Მის ძმას მაიორს Ვასილსა
Დიდი ხანია უთქვამთ.
Გსურთ, ჰკითხეთ Გივისშვილსა,—
Თეატრში ხშირათ მცნობებს
Ბევრს ეტყვის ამ მოთხრობებს.

ზ. მახარაძე.

## ᲙᲐᲠᲒᲘ ᲖᲜᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ.

(ნეკრასოვიდგან)

Კაცი ვარ კარგი ზნისა,
Არა ფერს არ ვაშავებ;
Ისე ვცხოვრობ ყოვლთვისა,
რომ ცუდს არ ვის ვაკადრებ.

Ერთხელ სალამოს ჩემი მეუღლე
Საყვარლისაკენ გადაიხვეწა;
Მე გალანძღული ამ გვარ საქმითა
ჩემ მტერს მივადექ პოლიციითა
Და დავუმტკიცე კავშირი ცოლთან.
Ზაფრაცემული იმ სალამოდგან
Მეუღლე ჩემი გამიხდა ავათ
Და რომ გავიდა ცოტაოდ ხანი
Გარდამეცვალა ის მე უეცრად.

Კაცი ვარ კარგი ზნისა
Არაფერს არ ვაშავებ;
Ისე ვცხოვრობ ყოვლთვისა,
რომ ცუდს არ ვის ვაკადრებ.

Მეგობარს ჩემსა ფული ვასესხე
Და დიდხანს შემდეგ უკანვე ვსთხოვე;
Მაგრამ გადახდას არ მიპირებდა
Და საჩივარზედ საქმე მივარდა.
Მას სამართალი ასე გადუჭრეს:
Დიდი ხნის ვალით დაატუსაღეს.
Ტუსაღობაში ის ისე მოკვდა,
Ფარაც რა არის, არ გადმიხადა.
Დახე ამ ჩემსა გულკეთილობას,
რაც რომ ემართა, სულ შევწირე მას!

Კაცი ვარ კარგი ზნისა,
Არაფერს არ ვაშავებ;
Ისე ვცხოვრობ ყოვლთვისა,
რომ ცუდს არ ვის ვაკადრებ.

Მზარეულს მივეც მე ჩემი კაცი,
რომ ამ ხელობის მას რამ ესწავლა;
Თუმც ეს ხელობა კარგათ ისწავლა,
Მაგრამ წიგნშიდაც ის განვითარდა!
Უზრდელობაცა თან შესჩვეოდა:
Თითქმის ყოველ-დღე სალამობითა
ჩემს უკითხავათ დასეირნობდა.
Თავი მომბეზრდა დარიგებითა
Და როგორც მამამ გავჯოხე მაგრა.
Წარმოიდგინეთ, ის გამეპარა
Და დიდს მდინარეს თავი მიჰგვარა!

Კაცი ვარ კარგი ზნისა,
Არაფერს არ ვაშავებ;
Ისე ვცხოვრობ ყოვლთვისა,
რომ ცუდს არ ვის ვაკადრებ.

Მასწავლებელი ჩემი ქალისა
Თვისსა მოწაფეს შეჰყვარებოდა
Და როგორც ვსცანი მე ბოლოს დროსა,
Ქალი გაყოლას დაჰპირებოდა.
Მსწრაფლად მოვასწარ ამა ხიფათსა
Და ქალი მივეც ბებერსა კაცსა.
Ჭალარა იყო, კბილებიც აკლდა,
Მაგრამ ფული კი ურიცხვი ჰქონდა.
ჩემი მაშიკო ჭლექად ჩავარდა
Და ერთს წელს შემდეგ მიწას ჩაბარდა.

Კაცი ვარ კარგი ზნისა,
Არაფერს არ ვაშავებ,
Ისე ვცხოვრებ ყოვლთვისა,
რომ ცუდს არვის ვაკადრებ.

Ი. მ—ი.

1868 წელს 3 ოკტომბერს.

იმისთვის და ბრუტ საბძელზე მიათრევ-დეს. Ერთმა ბიჭმა შუაღამისას ასტეხა ხარივით ზლავილი. Უველა ბიჭები ზეზე წამოცვივდენ და გაალვიძეს. Ადგა თუ არა, მაშინვე მოჰყვა დაფეთებული ბიჭი პირჯვრის წერასა: „დასწყევლოს Ღმერთმა შენი სახსენებელი, დალახვროს Ღმერთმა შენი ეშმაკი, კუდიანო Თათია, იძახოდა ის.

— Ბიჭო, რა ამბავია, რა მოგეჩვენა, თქვი ჩქარა—ჩასძახოდნენ სხვანი შეშინებულსა.

— Არა, აქ გაძლება აღარ შემიძლია; ხვალვე უნდა წევიდე მკითხავთან. Სულიც რომ ამომაძროს ბატონმა, მაინც აქ მოცდა აღარ შემიძლია.

— Ბიჭო თქვი, რა დაგემართა! დაყრუვდი თუ?—შესძახა მოურავმა.

— Რავა, რა დამემართა, ის წყეული Თათია კატაზე იჯდა, მოვიდა ჩემთან, თმაში ჩამაფრინდა და მიმათრევდა...

— Ნუგეშინია, პირჯვარი დეიწერე, Ღმერთ შეეხვეწე. . . არაფერი გიჭირს—გაამხნევა მოურავმა და დაწვა ისევე.

Იმასთან სხვანიც დაწვენ და ცოტახანს შემდეგ ხვრინი გამართეს. Სიზმრით შეშინებულს ბიჭს ლული აღარ მოჰკიდებია თვალებზე. Იმან ცეცხლი გააჩაღა კერაში და დილამდის ასე გაატარა. Მეორე დილას მესამე ბიჭიც ნახეს ნიშნიანი. Იმას ლოყა გასივებოდა და კიდეც გაწითლებოდა; ეტყობოდა, რომ გაციებისგან დამართოდა, მაგრამ ვინცკი შეჰხედა, ყველა ამბობდა: „Თათიას დაუდაღავსო“. Ბაკურიძის ოჯახში და იმ ახლო მახლოს მსწრაფლად გავარდა ხმა ბიჭების დადაღვაზე კუდიან Თათიასგან. Ბაკურიძემაც მოჰკრა ყური ამ ამბავს, მაგრამ არაგაამხილორა. Ბოლოს თვითონ მოსამსახურე ბიჭებმა გამოიდვეს თავი. Ერთს საღამოს ხუთმა—ექვსმა ბიჭებმა ერთმანეთში მოილაპარაკეს: „Უსათუოთ Თათიას საფლავი უნდა გავთხაროთ, ის სწორეთ დაყუნტული იქნება იქაო, და თუ მეორეთ არ მოვკალით, მოსვენებას არ მოგვცემსო. Დღისით ნამდვილათ საფლავში ძინავს და ღამე წამოჯდებაო; გამოუშვებს თავის ბოროტს სულს და კაცებს აფუჭებსო. Მოურავსაც წინათვე ჰქონდა ეს ამბავი გაგებული და თუმცა თვითონ არ მიუღია მონაწილეობა Თათიას საფლავის გათხრაში, მაგრამ ამ საქმეს ჩუმათ ხელს უწყობდა. Იმან მისცა ბიჭებს ბარი, ცული და ნიჩაბი. Შუაღამე რომ შეიქმნა, ბიჭები მიიპარებოდენ საყდრისკენ. Საფლავთან რომ მიახლოვდენ, ერთმა იმათგანმა გაოცებით წამოიძახა: „Კაცო, კაცო, შეხედე, რაა, იქნა რომ ანთია?. Მართლაც კვერცხის ოდნა რაღაც ნათელი თითქო საფლავიდგან ამოვიდაო, კარგა მაღლა აისწია და გაჰქრა.

Უველამ შენიშნა ის ნათელი ბუშტი.

Იგი სული იყო იმისი!... Ეს არის, ახლა ამოვიდა საფლავიდგან და წევიდა კაცების საცდენათ.

Უველანი შეჩერდენ. Ზული უცემდათ. Ელოდენ იქნება კიდევ ამოვიდესო ნათელი ბუშტი: დიდხანს უცადეს, მაგრამ ბნელს ღამეში არა სჩანდა რა.

— Აწი, ფიქრი არ არის, სული ქე წევიდა და მძოვრი ვერაფერს გვიზამს.—რომელიც უფრო მხნე იყო იმათში, დაიწყო იმან. Ივანია! მოდი. Ახლა დოუგდოთ ბარი და ნიჩაბი, ამოვთხაროთ საჩქაროთ საფლავი. Მართლაც ორსსამს მინუტს შემდეგ კუბო გამოაჩინეს; თავი რომ ახადეს, საშინელი სიმყრალე ამოვარდა კუბოდგან და მასთან ამოვარდა რამდენიმე ნათელი ბუშტიცა (ალბათ ფოსფორის გაზი იყო).

— Ივანია მომე აქ ცული..—Ზახდა ხეთქა და საწყალს Თათიას თავი ტანზე მოცილდა.—Დახურეთ კუბოს თავი.—Დაიყვირა ისევ იმ ბიჭმა. Ერთ მინუტს საფლავი ისევ მიწით გაავსეს.

— ჰე ,აწი ჩქარა წევიდეთ შინისკენ—უთხრა წინამძღოლმა ბიჭმა.

Უველანი მსწრაფლათ გაშორდენ სამარეს.

— Დედა, დედა, რავა შემეშინდა ის ნათელი სულები რომ ამოვარდენ.—Ზაოცებით დაიწყო ყველაზე უმცროსმა.

— Თურმე სულ კი არ ამოსულიყო მთავარი სული!

— რა Ღმერთი შეგვეწია, რომ ის პირველი სული წინათ ამოვიდა, თვარამ იგი რომ ყოფილიყო, ყველას გაგვარეტებდა და მოგვკლავდა.

— Აკი დაყუნტული იქნებაო! Დაყუნტული კი არა სიგძისათ იყო გაშხლარტული კუბოში. Იმას სიცოცხლე არ ეტყობოდა, ტყულათეი დევიდევით, მგონია, ცოდვა.—თქვა Ივანიამ.

Უველას ფერმა გადაჰკრა.

—Აჰ, რას ამბობ თვალები არ გქონია შენ.—შეუტია იმან, რომელმაც ცული დაჰკრა.—ჩემი თვალით ვნახე რომ თათია იჯდა და ხტუნავდა.

— Კი, კი,—მეც ქე დევინახე —დაამოწმა პატარამ.

— ჰე, შენ რომ სულ იქინა არ მიკარებიხარ, რავა დეინახე! შენ არ იყავი, რომ გვიქეცი,რავარც სული გეცაა!!—უთხრეს სხვებმა.

Ამ ლაპარაკში იყვნენ ბაკურიძის ბიჭები, რომ ბატონის ეზოში შევიდენ. Წინ მოურავი შეხვდათ.

— რა ჰქენით, მოჰჭრით თავი?... ჰკითხა მოურავმა.

— Დედაჰ, დედა!....რა ვნახეთ! Თათია დამჯდარიყო საფლავში და ხტუნავდა—ყველამ ერთი ხმით უთხრეს მოურავს.

— Ცალგვერდით კაცის გული ედვა და ჭამდა—დაუმატა Ივანიამ.

— Კი, კი, მეც ქე დევინახე—დაამოწმა ყველაზე უმცროსმა ბიჭმა.

— Მართალია, მართალია—ყველამ ერთი ხმით წამოიძახეს.

Ირაჟრაჟა. Ზათენება ახლოს იყო Ზატონი საკურდღლაოთ ემზადებოდა. Მოურავმა უთხრა იმ ბიჭებს: Ღმერთი არ გაგიწყრესთ, არსად გაამხილოთო, და მერე თავლაში წავიდა სხვა ბიჭების გასაღვიძებლათ......

---

## Მომხმარებლების კრება ტფილისში.

Ოკტომბრის 17-ს Ტფილისში, გიმნაზიის ზალაში იყვნენ შეყრილნი ვიდრე ოთხასამდე აქაური ჩინოვნიკებისა არქიერის თანადასწრებითა. Ბევრი წილი კრებისა ეკუთვნოდა მხედრულსა საზოგადოებასა. Აქ თუმცა არ ისმოდა არც მუზიკა, არც მღერა, როგორც საზოგადოთ სადღესასწაულო ყრილობაში იციან ხოლმე: მაგრამ კაცი ამ კრებაში ყოფნით დიდად ისიამოვნებდა. Აქა ლაპარაკობდნენ მომხმარებლების კრების დაწესებაზედ. რა საამური ხმა არის ეს „მომხმარებლების კრება“!—Ვგონებ არ ჩამოუვარდეს „მომზადებელთა კრების“ ხმასა: ორივეში ერთგვარი კეთილის მომნიჭებელი საქმე სჩანს. Აქედგან ჩვენ გვესმის, რომ Ტფილისში მოსწყენიათ ყურება მოვაჭრე თემისა, რომელიც ვაჭრობაში ნიადაგ მოტყუებით აძლევს ზარალს ყოველს კაცს და სურთ ჯერ შეამსუბუქონ ეს ბოროტება და მერე სრულებით ამოფხვრან.

Ვაჭრობა ახლანდელს წესზედ არის სამოქალაქო ომი. ძალიან ცუდია, რომ სდგას კაცი მომხიბლავის სახითა და ცდილობს, რომ თავის დამპალს ნივთში გამოართოს მეორე პირსა რაც კი შეიძლება მომატებული: მაგრამ ემართლება კიდეც: მეორის ქუჩაზედაც რომ მოხდეს ეს დღეობა, ისიც ეცდება ყოვლის ღონით ამ გვარადვე მოატყუოს. Ამ გვარად, ვიტყვით დარწმუნებული, რომ ახლანდელს საზოგადოებაში ერთს კაცს ვერ იპოვით, რომ ვაჭრობაში მოტყუებული და წაგებული არ დარჩენილიყოს. Ერთის, სიტყვით, ყველას მეცადინეობა იმაში სდგას, რომ ვინმე მოატყუოს ალებმიცემობით, ამაში გადის იმათი სიცოცხლე და დრო. Მაგრამ ყველაზე საწუხარი ეს არის, რომ მდიდარს იმდენათ არ დააჩნდება ესა, როგორც ღარიბსა, რომელიც ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო წაგებულია. Ისიც ბოროტებაა, რომ ყოველი ნივთი ისე ძვირია და უშოვარი, რომ მომატებული ნაწილი ხალხისა მოკლებულია ყოველს იმასა, რაც კი არის საჭირო ცხოვრებისათვის და სიცოცხლისათვის.

Მომხმარებლების კრებას ეს ორი საგანი აქვს აზრში, ე. ი. სამოქალაქო ომი და საჭიროების დაუკმაყოფილებლობა; იმას უნდა, რომ ამ ორს ბოროტებას უწამლოს რამე. Მომხმარებლების კრებას ჰსურს, რომ საზოგადოებაში იყოს კაცობრიობა, აზრი მშვენიერი და საფუძვლიანი. Მომხმარებლის საზოგადოება იყიდის ყოველ გვარს საქონელს და ზომიერ ფასათ გაჰყიდის თავის წევრებზე, ისე რომ ყიდვაში მოტყუება აღარ იყოს.

Ახლა გავსინჯოთ კრების ღონე ამ აზრის ასასრულებლად. Პირველს თავის ყრილობაშივე, როგორც ზეითა ვსთქვით, ჰყვანდა ოთხასამდე მწევრნი და ვგონებ, რომ ოთხი და ხუთი ამოდენი თანამგრძნობლები ვერ მოვიდნენ პირველს დღესა. Ესენი, რასაკვირველია, თავისის სარგებლით მიეთვლებიან კრებას მაშინვე, რას წამს ნახვენ, რომ საქმე მოვავარებული და გათავებულია. Მთავარმმართებლისაგან არის ნების დართვა მომხმარებლების კრების დაწესებაზედ Ტფილისში. Ახლავე ამ კრებასა ჰყავს ორი ათასამდე მწევრნი. Უოველმა მწევრმა უნდა შეიტანოს კრებაში ერთი თუმანი. Მაშასადამე კრებას ახლავე აქვს თანხა 20,000 მანეთი, რომელიც სრულებით საკმაო არის საქმის დაწყებისათვის. Ამასთანავე, რადგანაც ამ კრებაში შესვლისთვის კარი ღია არის ყველა წოდებისათვის და წრეც შემოფარგლული არა აქვს, ასე რომ რამდენიმე წევრიც უნდა იყოს,—კრება დასტევს, ამიტომ კრება ძალიან გავრცელდება და საქმე უფრო მარჯვედ წავა. Შემდეგ სხვა და სხვა ქალაქის ნაწილებში გაჰხსნის მაღაზიებსა და გაჰყიდიან თვითონ თავიანთ მწევრთა ზედა კარგსა და იაფს საქონელსა ამათ ექმნებათ საქონელი იაფი და პირველი ალაგებიდგან და გაჰყიდიან ძალიან იაფად—იქნება სრულებით მოუგებრად.

Ვა! როგორ თუ მოუგებრად, იტყვის ზოგი ერთი ვაჭარი,—ნეტაი დედიჩემის ყოშებსა რაღა: Აგრე თუ ვიარე;—ძალიან აივსება ჩემი ქისა, Აი! რომ არ მოვიგოთ, მაშ როგორ ვიცხოვროთ?

Ისკი არ ესმის ვაჭარსა, რომ ერთი მოგებაც ის არის, რომ რაც გინდა, იმას მოუგებრად გითმობენ. რასაც შენს ნივთში იღებ მომატებულსა, ისივე შენ საჭირო ნივთში უნდა მისცე სხვას მომატებული და ზარალიც ის არის, რომ გატყუებენ და ცუდს ნივთებს გაძლევენ.

Მაგრამ ერთში კი ვაჭარი ძალიან ფილოსოფურად სჯის: რომ არ მოვიგოთ, როგორ ვიცხოვროთო. Უოველს საქმეს თავისი ბოლო აქვს და ამ მოუგებლობის ბოლოც ის უნდა იყოს, რომ ახლანდელი რიგი ვაჭრობისა სრულებით დაეცემა. Ბოლოს ყველა ნივთის მოქმედი და ნივთის მომხმარებელი უნდა იყოს; მაშინ ცუდა კაცს ადგილი აღარ ექმნება საზოგადოებაში. Ვაჭარს თავისი ჩამომავლობა ძალიან უყვარს . . . . და ზრუნავს იმათათვისა. Თითონ რომ თავის დღეში არ გაუკეთებიარა და არც იცის რამე გაკეთება, ჰგონია, რომ თავის ჩამომავლობასაც არაფრის გაკეთება არ შეეძლება და [illegible] მშილითაო. Თუ ამ გვარ მჭმუნვარებაში არის ვინმე, იმას ჩვენის მხრივ ვეტყით ერთს ანდაზასა; „გაჭირება მაჩვენო და მე გაქცევას გაჩვენებო“. როდესაც ნახვენ, რომ უშრომლად ცხოვრება არ შეიძლება, მაშინ ყველა იშრომებს.

Ოკტომბერს მომხმარებლების კრებამ ამოირჩია თავის შრომის თავს მჯდომარე და სეკრეტარი; მომავალი კვირადღისათვის დანიშნეს მეორე სხდომა, რომელშიაც უნდა ამოირჩიონ ყოველის წოდებიდგან სამ-სამი კაცი კრების დაწესებაების შესამუშავებლად. Მხოლოდ კარგი ეს იქმნება, რომ არ მიიღონ დაწესებაები რომელიმე რუსეთში, ანუ სხვა ადგილს მყოფი კრებისა, როგორც სხდომის დროს ზოგი ერთი მწევრი ამბობდა და შეადგინონ სრულებით ახალი დაწესებაები, რომელნიც იქმნებიან დამყარებულნი ადგილობრივ პირობაებზედა. Ზარდა ამისა ერთი თუმნისა ერთად შეტანა ყველას არ შეუძლიან შეუძლებლები სწორედ ისინი არიან, ვისაც უფრო საჭიროება აქვს კრებაში მონაწილეობის მიღებისა და იმითი იაფის საქონლით სარგებლობისა. Ამიტომ მისცენ ნება ეს ფული ზოგიერთმა შეასრულოს ორ-ორ შაურობით და თითო აბაზობით. Ეს საშუალება კრებისათვისაც სასარგებლო იქმნება, ამიტომ რომ მაშინ თავის კრებაში დასთვლის მწევრთ ათასობითა და ალებმიცემობაც დიდი ექმნება. Ამითი თანხა კრებისა გაიზდება და უფრო გავრცელდება წრე მოქმედებისა.

Ეს არის სამწუხარო, რომ Ტფილისში მომზადება არ არის გავრცელებული. Შემდეგში იქნება მალე გავრცელდეს ეს ნაწილი საზოგადოების საჭიროებისა. Მერე იქმნება შესაძლისი მომმზადებლების კრების შედგენა, რომელიც მისცემს ახლა დაწესებულს მომხმარებლების კრებას იმ სიმაგრესა, რომელიც საჭირო არის ახლანდელი ვაჭრობის წესის სრულებით მოშლისათვის.

---

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

Ახალი რუსულათ და ქართულათ დაბეჭდილი კათეხიზი გინა საქრისტიანო-მოძღვრება კათოლიკე ყმაწვილებისათვის დიდად სარგო, ისყიდება Დროების რედაქციაში, ფრანგების მონასტერში, პატრი Ალფონს ხითაროვთან, და გალავინის პროსპექტზედ Არწრუნის ქარვასლაში მეთამბაქოე სიმონ Ნებიეროვის მაღაზიაში. Ფასი 20 კაპეიკი.

---

## ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ.

**ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ** მოსწავლეთათვის, შედგენილი Ი. Ზოგებაშვილისაგან, მესამე გამოცემით დაიბეჭდა და ისყიდება თბილისის სასულიერო სემინარიაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, Ალადათოვის და Ვართანოვის წიგნების მაღაზიებში. Ფასი ყველგან ორი შაურია.

**НАЧАЛЬНЫЙ ПРАКТИЧЕСКІЙ КУРСЪ РУССКАГО ЯЗЫКА ДЛЯ ГРУЗИНЪ**, составленый К—ли, вышелъ вторымъ изданіемъ, и продается въ Тифлисской Духовной Семинаріи и Типографіи Меликова и К-°. цѣна 60 к.

რუსული ენის დაწყებითი პრაქტიკული კურსი ქართველთათვის, შედგენილი Კ—შვილის მიერ, მეორე გამოცემით დაიბეჭდა და ისყიდება: Თბილისის სასულიერო სემინარიაში და მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. Ფასი სამი აბაზი.—

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8-го ноября, 1868 г. Ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი Გ. Წერეთელი. Ზამომცემი Ს. მელიქიშვილი.